ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 252

"16" აგვისტო 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, მუხიანი-თემქის გადასასვლელის მიმდებარედ არსებული 644 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.17.004.430) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, მუხიანი-თემქის გადასასვლელის მიმდებარედ არსებული 644 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.17.004.430) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის №19.799.1037 განკარგულებით გათვალისწინებული ქონების: ქალაქ თბილისში, მუხიანი-თემქის გადასასვლელის მიმდებარედ არსებული 644 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.17.004.430) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, შპს „მუხიანი 2002"-თან (ს/ნ: 200077629) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**